

ლელო აბაშიძე
პროფესორი
დომნა კარანაძე
ასოცირებული პროფესორი
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

თარგმნითი ტრანსფორმაციები გამონათქვამის ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე ვაჟა-ფშაველას *შვლის ნუკრის* ნაამბობის ინგლისურ თარგმანებში

*ყოველ მთარგმნელს მისი ინდივიდუალურობისა და განწყობის
შესაბამისი ნაწარმოების თარგმნა შეუძლია სრულფასოვნად*

გ. გაჩეჩილაძე

თეზისები: წინამდებარე სტატიაში შერჩეულია ვაჟა-ფშაველას *შვლის ნუკრის* ნაამბობის ორი თარგმანი, რომელთაგანაც ერთი შესრულებულია მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე ელისაბედ ორბელიანის მიერ, ხოლო მეორე თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ მერი ჩაილდისა და აიდა ლომინაძის მიერ. სტატიაში მოცემულია ორივე თარგმანის ცალკეული სევემენტების ტრანსფორმაციების ანალიზი ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე. ვაჟა-ფშაველას ენა ენის ფილოსოფიური სიღრმის ის შრეა, რომელიც განსაზღვრავს ერის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, სიკვდილ-სიცოცხლისადმი.

ვაჟას-ფშაველას ენის ერთის მხრივ სირთულისა და მეორეს მხრივ, საოცარი ხატოვანების გამო, მთარგმნელებს მთელი რიგი სიძნელების გადალახვა მოუხდათ. მთავარ გამოწვევად კი დარჩა აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნება, რასაც ქმნის არა ცალკეულ ლექსიკურ კომპონენტთა მნიშვნელობათა ჯამი, არამედ ის აზრი, რომელსაც ეს ერთეულები ქმნიან კონკრეტულ სამეცყველო წარმონაქმნში.

შვლის ნუკრის ნაამბობის სრულიად განსხვავებულ ეპოქაში შესრულებული თარგმანების ორიგინალთან ცალკეული

კომპონენტების დონეზე შედარებისას შეპირისპირებულ ენათა სემანტიკური ველების სტრუქტურათა განსხვავება გამოიკვეთა. მთარგმნელები ცდილობენ, მეტნაკლები სიზუსტით მიყვანენ ტექსტს, მოძებნონ ინგლისურ ენაში დედნის საოცარი ექსპრესიულობის შესაბამისი ადეკვატური გამოთქმები და შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ თხრობის დინამიკა.

ორი თარგმანისა და ორიგინალის, სამი სტატიკური ობიექტის შედარებამ წარმოაჩინა, რომ ეკვივალენტურობა მიღწევადია არა მხოლოდ სტრუქტურულ-გრამატიკულ ფორმათა ეკვივალენტურობით, არამედ განსხვავებულ ენობრივ ფორმათა კომბინაციებით.

სწორედ ქართული ენის ფენომენის სირთულით არის განპირობებული ორივე თარგმანის ავ-კარგიანობა. ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ხომ ქართული სიტყვის მაგის უმაღლესი გამოვლინებაა. მიუხედავად ამისა, *შვლის ნუკრის ნაამბობის* თარგმანი შესრულებული ელისაბედ ორბელიანის მიერ და ერთი საუკუნის შემდგომ მერი ჩაილდის მიერ მნიშვნელოვანი მოვლენაა ინგლისურენივანი სამყაროს მიერ ქართული ლიტერატურის შემეცნების თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: შედარებითი თარგმანი, ტრანსფორმაციების ანალიზი, დინამიზმი, სემანტიკური ველი

Abstract: The present paper discusses two translations of the story, one of which was performed at the dawn of 20th century by Elisabeth Orbeliani, and the second – almost a century later by Mary Childs and Aida Lominadze. The article analyzes the transformations of individual segments of both translations at the level of lexical components.

Vazha Pshavela's language is that layer of the philosophical depth of the language, that determines the philosophical worldview of the nation, its attitude towards the universe, death and life.

The translators had to overcome a number of difficulties because of, on the one hand, complexity, and on the other hand, marvelous imagery of Vazha Pshavela's language. But the main challenge remained to preserve the semantic invariant which is created not by the sum of meanings of individual lexical components, but by the meaning which these units create in a specific speech utterance. Comparison of the translations performed in completely different eras with the original at the level of individual components revealed

difference in the structures of the semantic fields of the languages being compared.

The translators try to follow the text more or less accurately, find adequate expressions in English that correspond to the amazing expressiveness of the original, and, as far as possible, maintain the dynamics of the narrative.

Comparison of the two translations and the original, that is, three static objects, showed that equivalence can be achieved not only by equivalence of structural-grammatical forms, but also by combinations of different linguistic forms.

It was the complexity of the phenomenon of the Georgian language that determined the merits and demerits of both translations; after all, the creative work of Vazha Pshavela is the highest expression of magic of the Georgian language. However, the translations of “The Story Told by a Fawn”, performed by El. Orbeliani and a century later by Mary Childs are significant events in terms of the perception of Georgian literature by the English-speaking world.

Keywords: comparative translation, dynamics of the narrative, preserve the semantic invariant

მე-20 საუკუნის დასაწყისი ინგლისურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის თვალსაზრისით იმ ტენდენციების გაგრძელებით ხასიათდება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა მე-19 საუკუნის ბოლოს. იგი თვისობრივად ახალი ეტაპია და ნიშანდობლივია იმით, რომ ინგლისურ-ქართულმა ლიტერატურულმა ურთიერთობებმა, რომელსაც ხშირად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და ცალკეულ, ქართული ფენომენით დაინტერესებულ პირთა მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული, ორმხრივი ხასიათი მიიღო: ერთის მხრივ, ქართული საზოგადოება ეცნობა ინგლისური ლიტერატურის შედეგებს, მეორეს მხრივ, უკვე ქართული ლიტერატურის ცალკეული ნიმუშები იკვლევენ გზას ევროპელი და კერძოდ, ინგლისელი მკითხველისაკენ. 21-ე საუკუნეში ეს პროცესი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ქართველი მთარგმნელები გვთავაზობენ როგორც მსოფლიო ლიტერატურის გამორჩეულ ნიმუშებს ქართულ ენაზე, ასევე ქართული ლიტერატურის უბადლო ნაწარმოებებს უცხოურ ენაზე.

წარმოდგენილ სტატიაში შერჩეულია ვაჟა-ფშაველას *შვლის ნუკრის ნაამბობის* ორი თარგმანი, რომელთაგანაც ერთი შესრულებულია მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე ელისაბედ ორბელიანის მიერ, ხოლო მეორე

თითქმის ერთი საუკუნის შემდგომ მერი ჩაილდისა და აიდა ლომინაძის მიერ. სტატილაში მოცემულია ორივე თარგმანის ცალკეული სეგმენტების ტრანზორმაციების ანალიზი ლექსიკურ კომპონენტთა დონეზე.

ინგლისურად ვაჟას შემოქმედების თარგმანები ჯერჯერობით მცირეა, მაგრამ რაც არის, ის უაღრესად მნიშვნელოვანია. ვაჟას თვითმყოფადობა, რაც მის სტილსა და ენის განსაკუთრებულობაში ვლინდება, ძნელად ემორჩილება თარგმნას. ამიტომ მისი თარგმნის ყოველი სერიოზული მცდელობა ნამდვილად დასაფასებელია და ლიტერატურული კრიტიკის ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს. (ჩხარტიშვილი, ვაჟა-ფშაველას მოთხრობების ინგლისური თარგმანები 26)

თავისუფალი საქართველოს პირველი დემოკრატიული მთავრობა ესწრაფვოდა ევროპის უძლიერეს სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას და მსოფლიოს სხვა სუვერენული სახელმწიფოების გვერდით თვითდამკვიდრებას. ინგლის-საქართველოს ურთიერთობის ახალი ეტაპი 1918 წლის 22 დეკემბერს დაიწყო, როდესაც ინგლისის საჯარისო ნაწილები ქართველი ხალხის მხარდასაჭერად ბათუმსა და თბილისში შევიდნენ. ამდენად, სრულიად ბუნებრივი ჩანს თბილისში ინგლისურენოვანი ყოველკვირეული გაზეთის გამოცემა, რომელიც ერთის მხრივ, ინგლისური ორიენტაციის პოპულარიზაციის მიზნით იყო განპირობებული, ხოლო მეორეს მხრივ, ცდილობდა, ეჩვენებინა ინგლისის მთავრობისათვის, რომ საქართველოს სახით მას საქმე ქონდა უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყნასთან. “The Georgian Messenger”-ის პირველი ნომერი საქართველოსა (იგულისხმება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული ინგლისური საჯარისო ნაწილები და ინგლისის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები თბილისში) და ევროპის ინგლისურენოვანმა მკითხველმა (გაზეთის ყველა ნომერი ევროპის ბევრ ქვეყანაში იგზავნებოდა) მიიღო 1919 წლის 25 თებერვალს ელისაბედ ორბელიანის რედაქტორობით.

ელისაბედ ორბელიანმა პირველად აამეტყველა ფრანგულად ნ. ბარათაშვილის „მერანი“, „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“, „საყურე“, ალ. ჭავჭავაძის „სიყვარულო ძალსა შენსა“, „მუხამბაზი“, გრ. ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, კ. მაცაშვილის, ტ. ტაბიძის, ალ. აბაშელის, ს. შანშიაშვილის და სხვათა ლექსები. ელისაბედი ხანგრძლივად და დიდი გულმოდგინებით მუშაობდა ვეფხისტყაოსანის ფრანგულ თარგმანზე. 1916 წელს კი „საზანდარის“ ფსევდონიმით მისი ლექსების პირველი კრებული გამოიცა.

Problèmes traductologiques: analyse et solutions

შემთხვევითი არ იყო არჩევანის შეჩერება ელისაბედ ორბელიანის მიერ *შვლის ნუკრის ნაამბობზე* (ვაჟა-ფშაველა, *რჩეული* 82). გაზეთის ფორმატი არ იძლეოდა დიდი მოცულობის ნაწარმოების ბეჭდვის შესაძლებლობას. ვაჟას მოთხოვნებიდან კი *შვლის ნუკრის ნაამბობი* ჰუმანიზმის ერთგვარ აპოთეოზად შეიძლება ჩაითვალოს.

ვაჟას ენის ერთის მხრივ სირთულისა და მეორეს მხრივ, საოცარი ხატოვანების გამო, ელისაბედ ორბელიანს მთელი რიგი სიძნელეების გადალახვა მოუხდა თარგმნის დროს. არანაკლები ძალისხმევა დაჭირდათ 2009 წელს მერი ჩაილდსა და აიდა ლომინაძეს იმავე ტექსტის თარგმანის შესასრულებლად – *The story told by the fawn*. ორივე შემთხვევაში, ცხადია, თავი იჩინა ქართული ლექსიკის არაჩვეულებრივმა სიმდიდრემ.

სტრუქტურულად განსხვავებული ენების კონტაქტისას ტრანსფორმაციათა მაღალი კვანტიტატური მაჩვენებლების საილუსტრაციოდ მოგვყავს ზემოდ ხსენებული ტექსტის შერჩეული სეგმენტები და ამ ტექსტის ორი მთარგმნელის მიერ შესრულებული თარგმანი:

1. სამჯერ უჩვეულო ხმაურობა შემოგვესმა. ის არ ჰგავდა არც წყაროს ჩხრიალს, რომელიც მუდამ მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს, არც კიდევ ხმელი ხის წვერიდან ჩამოვარდნილ ტოტის რახუნს და არც ნიავისაგან აშრიალებულ ფოთლების ხმას.

ელ. ორბელიანი:

Three times I heard an unusual noise: it did not resemble the murmur of water which I heard continuously, nor the chir-up of the thrush, nor the sharp top of the woodpecker's beak, nor was it the fall of a branch from the top of the dry old tree, or the murmur of the leaves in the breeze.

როგორც ვხედავთ, როგორც წყლის ჩხრიალი, ისე ფოთლის შრიალი ინგლისურად გადმოცემულია ერთი სიტყვით murmur. არც chir, top, fall of შეესაბამება ზუსტად შაშვის ფაჩუნს. გარდა ამისა, სიტყვების – „ფაჩუნი“, „რაკუნი“, „რახუნი“-ს თარგმანი მიმღებ ენაში სრულიადაც ვერ ქმნის დედანში შექმნილ დინამიზმს.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში გრამატიკული ლაკუნის კომპენსაცია დონეთმორისი ტრანსფორმაციით განხორციელდა.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

Three times we heard an unusual noise: it wasn't like the roaring of the water, which I heard all the time, or the clatter of a blackbird, or the knocking of a woodpecker; it wasn't even like a branch, crashing down from the top of a dry tree, or the sound of the leaves rustling in the wind.

2009 წლის თარგმანში, ეს სიტყვა *murmur* შეცვლილია ღრიალით – *roaring* რაც, უფრო ცხოველებთან ასოცირდება, წყლის ჩხრიალს უფრო *murmur* – მღე მიგყავართ, ვიდრე *roaring* – მღე ალბათ. რაც შეეხება ჩხრიალის და შრიალის გადმოცემას ერთი და იმავე სიტყვით, ახალ თარგმანში *rustling* გვაქვს შემოთავაზებული და ის აქ უდაოდ უფრო ზუსტია.

2. ძუძუს აღარ ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსრუტავ დილით და საღამოს, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ.

ელ. ორბელიანი:

I have no milk to drink now, only the morning and evening dew on the glass, when there is any, quenching in that way my thirst for milk.

ძუძუს აღარ ვწოვ – I have no milk to drink

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

I no longer nurse at her breast, I only suck the dew from the grass in the morning and evenings, when there is dew, and I am dying from the desire to drink milk.

I have no milk to drink now-ში არ ჩანდა ამბის სიმძაფრე ამ სიტყვების უკან, ახალ თარგმანში კი no longer-ით გამოიხატა, რაც უკვე აღძრავს განცდას, რომ ტრაგედია მომხდარია პროტაგონისტის თავს.

რძის ნდომას იმითი ვიკლავ – quenching in that way my thirst for milk

ორივე თარგმანის სეგმენტის მეორე ნაწილში, ვერ მოხერხდა ადეკვატური თარგმანის მოძებნა – კომპენსაცია ქართული კულტურის სპეციფიკიდან ინგლისური კულტურის სპეციფიკისთვის, რაც საკმაოდ ხშირია თარგმანის პრაქტიკაში და კულტურათა კრეოლიზაციითაა ცნობილი. ეს კი დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. ამ სეგმენტის სინტაქსური მატრიცა თითქმის არავითარ მსგავსებას არ ამჟღავნებს თარგმანის შესაბამის სეგმენტთან – შეცვლილია სინტაქსური კავშირი და კომპონენტური შემადგენლობაც. ორივე მიმღებ ტექსტში გამოყენებულია ანტონიმური თარგმანი.

ძალიან საყურადღებოა ნაიდას და ტაბერის მოსაზრება “დინამიური ეკვივალენტობის” შესახებ. იგი თვლის, რომ ორიგინალის აზრობრივი შინაარსი ისე უნდა გამეორდეს მიმღები ენის ფორმებში, რომ თარგმანის ადრესატის რეაქცია ადეკვატური იყოს საწყისი ტექსტის ადრესატის რეაქციისა (Nida, Taber, *The Theory And Practice of Translation*), რაც მთარგმნელებმა უთუოდ გაითვალისწინეს.

Problèmes traductologiques: analyse et solutions

მთარგმნელები ცდილობენ მეტ-ნაკლები სიზუსტით მიჰყვენენ ტექსტს, სამაგიეროდ მოძებნონ ინგლისურ ენაში დედნის საოცარი ექსპრესიულობის შესაბამისი ადეკვატური გამოთქმები და შეძლებისდაგვარად შეინარჩუნონ თხრობის დინამიკა. დედნის ექსპრესიულობას მოწმობს ქვემოთ მოყვანილი წინადადების თარგმანები:

3. წამოვიდა ის წყეული ფრინველი, ტანი ველარ შეიმავრა და ჩემს ნაღვომ ადგილს დაეცა.

ელ. ორბელიანი:

This *deadly* bird could no longer remain in the air, but fell just where I had been standing.

წინადადების პირველ სეგმენტში შინაასობრივად მაღალი სიზუსტეა დაცული (*deadly* ძალიან კარგად გამოიყენა). მეორე ფაზაში კი, უფრო ეფექტური იქნებოდა დანარცხება/დაცემი-ს ერთიტყვიანი ეკვივალენტი მოეძებნა.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

This *accursed* bird was aiming at me. It couldn't hold itself back, and fell on the very spot where I'd just been standing.

ორბელიანთან *deadly* კარგად იყო შემოტანილი, მაგრამ ახალ თარგმანში გამოყენებულმა *accursed* დაგვარწმუნა, რომ ეს არაჩვეულებრივად ზუსტი მიგნებაა, რადგან ამ ლექსიკურ ერთეულს ვხვდებით *ოიდიპოს მეფეში* (ოიდიპოსი დაწყევლილია). ძალზე ოსტატურად გამოიყენა ეს ლექსიკური ერთეული ინგლისელელმა მთარგმნელმა, რომელიც თავის დროზე მის მიერ ოიდიპოსის ბერძნულიდან ინგლისურზე შესრულებული თარგმანი ბრწყინვალედ იყო შერჩეული.

წინადადების მეორე სეგმენტში, ორივე თარგმანში გამოყენებული ზმნის ფორმა ზუსტად ვერ ფარავს დედნის ენის მნიშვნელობას, რაც შესაძლოა, სინტაქსური სტრუქტურის ცვლილებას მოითხოვს. დედანში მოცემული წინადადება მარტივი წინადადების სახითაა წარმოდგენილი, ხოლო თარგმანში ქვეწყობის პრინციპითაა გაწყობილი. ვაჟა-ფშაველას ტექსტებს არ ახასიათებს ჭარბსიტყვაობა და ამ კონკრეტულ სეგმენტში იკარგება დინამიკა.

4. უხვედრი იყო ჩვენი ბინა.

ელ. ორბელიანი:

Our home was difficult to find.

ამ შემთხვევაში ხდება ლექსიკური კომპონენტის „უხვედრი“ განზოგადება თარგმანში და სინტაქსური პერიფრაზირების გამოყენება. ხშირია და სირთულეს წარმოადგენს ზუსტი სემანტიკური ეკვივალენტის გამონახვა მიმღებ ენაში, რამდენადაც ყოველ ენაში მოქმედებს შესიტყვების სპეციფიკური ნორმები, რომელთა თანხვედრა მეორე ენის ნორმებთან არცთუ ხშირია. „უხვედრი“ ისეთი სიტყვაა, რომ ბევრ მთარგმნელს ჩაჭრიდა. ალბათ, შესაძლებელია მოიძებნოს შესატყვისი ლექსიკური ერთეული ინგლისურად. ამ შემთხვევაში ინგლისურს ნამდვილად აქვს სინონიმები. ვაჟა-ფშაველაც „ძნელად მისადგომი“-ს დაწერდა, ლაკონურობა რომ არ სდომებოდა.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

Our home was difficult to reach.

ახალი თარგმანით ამ შემთხვევაში გაუმჯობესება ვერ მოხერხდა, find შეცვლილა reach-ით, რაც დიდს არაფერს არ იძლევა. მთარგმნელებმა ორივე შემთხვევაში გამოიყენეს ინგლისური ენის მრავალფეროვნება, რათა დაუახლოვონ იგი დედანს.

5. ხანდახან ყურებს დაცქვეტდა, მე შევყურებდი და ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემ პატარა ყურებსაც ავცქვეტდი.

ელ. ორბელიანი:

Sometimes she would pick up her ears... ..cooking my little ears as well.

შვლის მიერ ყურების აცქვეტა და შემდეგ მის მიბაძვით ნუკრის მიერ ამ მოქმედების გამეორება საოცარ დინამიზმს ქმნის, რაც დაკარგულია ინგლისურ თარგმანში, რადგან ყურების დაცქვეტა ორი სხვადასხვა სიტყვით არის გადმოცემული. პარალელური კონსტრუქციითა და გამეორებით გაწყობილი სინტაქსი ვაჟა-ფშაველას სტილისტური ხერხია. ასე ქსოვს მიმზიდველ ჯაჭვს წინადადებებისას და ამ ჯაჭვის გაწყვეტა და მისი შეცვლა არც სწორია და ამის აუცილებლობაც არ არსებობს.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

From time to time she would *raise* her ears. I would look at her, and imitating her, would *raise up* my small ears.

აქ შესაშური სიზუსტე და პროფესიონალიზმია გამოვლენილი ახალ თარგმანში, რადგან როგორც ქართულში ნიუანსის დონეზე იცვლება „დაცქვეტილი“ „აცქვეტილად“, ასევე raise-ს დაუმატეს up და მივიღეთ უკვე ა-ცქვეტილი, ანუ ამ up-მა ყველაფერთან ერთად მიმართულებაც მისცა სიტყვას, ის მიმართულება, რომელსაც ა- პრეფიქსი გვაძლევს ქართულში. ძალიან ზუსტი გადმოტანაა ყურებთან მიმართებაში.

Problèmes traductologiques: analyse et solutions

6. ოჰ, რამდენი მტერი გვყავს!
გული მეუბნება, მტრის მსხვერპლი გავხდები.

ელ. ორბელიანი:

Oh, how many enemies we have!
My heart tells me I should have been the victim of my foe.

ეს სტილისტური ხერხი – სინონიმების გამოყენება – მხატვრული თვალსაზრისით ბევრს ვერაფერს მატებს ინგლისურ თარგმანს.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

Oh Lord, how many enemies we have!
My heart tells me that I will become the victim of enemies.

ძველ თარგმანში „მტერი“ ორჯერ სხვადასხვაგვარადაა გადმოცემული, ახალში ორივეჯერ *enemy* არის გამოყენებული, რაც სწორია ცალსახად, ვაჟას რომ დაეწერა „ავის მოსურნე“ ერთგან, მაშინ დადგებოდა მხოლოდ ახალი სიტყვის მოძებნის საჭიროება. ზოგან პირიქით, მეტისმეტი სიზუსტით გადმოაქვს მთარგმნელს ქართული წინადადებები, როგორც ტექსტუალურად, ისე სინტაქსურად, რის გამოც თარგმანში ბევრი ქართულის კალკია.

7. ჟრუანტელი მივლის, როდესაც იმისი მოკაკული ნისკარტი და ალმასივით ბრჭყალები მაგონდება.

ელ. ორბელიანი:

A shudder runs through me as I remember its curved beak and glittering claws.

ფრაზეოლოგიზმები, ზოგადად ე.წ. „უთარგმნელ ელემენტთა“ კატეგორიას მიეკუთვნებიან, მაგრამ ზოგიერთ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებას შეიძლება ჰქონდეს აზრობრივადაც და შინაგანი ფორმიტაც ტოლფასი ფრაზეოლოგიური ეკვივალენტი. ამ შემთხვევაში, შეცვლილია გამონათქვამის სემანტიკური სტრუქტურა, მაგრამ კალკირების გზით შენარჩუნებულია აზრობრივი ინვარიანტი. ინგლისური ენისთვის უფრო ბუნებრივი იქნებოდა: A shudder claws to remember. A shudder runs through me. აქ მთარგმნელი დინამიკას ინარჩუნებს, რომ არ წყვეტს სათქმელს შუაზე, ანუ ამ „as I“-ს გამოყენებით ერთიანობა ნარჩუნდება.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

I tremble all over me when I remember its curved beak and its claws, sharp like uncut diamond.

„ჟრუანტელი“ ძველში *shudder*-ით, ახალში *tremble*-ითაა გადმოტანილი. *Tremble* გაცილებით ზუსტია, *tremble* არის თრთოლა

პირდაპირ და ძალიან ახლოსაა კანკალთან, თუ საერთოდ ერთი და იგივე არაა თრთოლა და კანკალი. მეორე ფაზა წინადადებისა საინტერესოა, აქ „აღმასივით ბრჭყალებია“ გადმოსაცემი და ძველში ესაა *glittering*, ანუ *glittering*-ს უკვე ის ფონი მოჰყვება, რაც აღარ ხდის საჭიროს აღმასის გამოყენებას, ახალ შემთხვევაში *diamond* კი გაჩნდა, მაგრამ *uncut* დაერთო თან, რაც თითქოს ხელოვნურად ჟღერს.

ქართული ენის საოცარ მოქნილობას კარგად წარმოაჩენს თარგმანი.

8. უპატრონო

ელ. ორბელიანი:

ერთგან თარგნილი აქვს *with no one to protect me*, მეორეგან – *unprotected*, სხვაგან ხმარობს სემანტიკურად მასთან უფრო ახლოს მდგარ სიტყვას *bereaved*, რაც დაობლებულს ნიშნავს. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია სტილისტური ხერხი.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

1. no one to take care of me.
2. no one to care for me.
3. without protection.

როგორც ძველ, ისე ახალ თარგმანში *no one to care for me* ჭარბსიტყვაობით გაწეილი წინადადებებია და აგდება ტემპს, სამივეგან გარკვევითაა მოცემული სიტყვა „უპატრონო“ და არა ადამიანი, რომელიც გამიფრთხილდებოდა და საჭმელს მომიშადადებდაო. შესაძლოა ძველი თარგმანი უფრო ადეკვატურია ამ ლექსიკურ ერთეულთან მიმართებაში. უმჯობესია, სამივეგან ერთი და იგივე და ერთსიტყვიანი ეპითეტი იყოს გამოყენებული.

9. იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუხთლად გვკრავ ტყვიას და გამოგვასალმებ წუთისოფელს.

ელ. ორბელიანი:

You have weapons, you crawl up to us, you treacherously shoot and take the sweet life away from us. Sweet life.

გაცვეთილი მეტაფორაა გამოყენებული მიმღებ ტექსტში *sweet life*, რომელიც ვერ გადმოგვეცემს „წუთისოფლის არსს. „წუთისოფელს გამოსალმება“ ენის ფილოსოფიური სიღრმის ის შრეა, რომელიც განსაზღვრავს ერის ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, მის დამოკიდებულებას სამყაროსადმი, სიკვდილ-სიცოცხლისადმი, მაგრამ აქ *sweet life*-ს ვერსია კარგია, *sweet life*-ს ემშვიდობება ჩვენი გმირი და ნუკრისთვის ეს სანუკვარი ცხოვრება გახდა მიუწვდომელი. დააკლო თავში – შემწე აღარ მყავსო ან ძუძუს აღარ ვწოვო, აქ ერთგვარი

კომპენსირება მოახდინა და ამ *sweet life*-ით თავისებური მელანქოლია, ნაღველი და სინანული შემოიტანა. ამ შემთხვევაში *sweet life* ძალიან ექსპრესიული და ნაზია, ასევე მეორეს მხრივ, სიტყვა „წუთი+სოფელი“ თავის თავშიც მოიაზრებს ტრაგიკულობას და ეს ნაზად ნათქვამი *sweet life*-ით, მითუმეტეს მელანქოლიურ კონტექსტში, ვფიქრობთ, კარგად აკუმულირდება.

მ. ჩაილდსი და ა. ლომინაძე:

You have weapons, you sneak up on us, kill us treacherously with bullets,
making us say farewell to this earthly life.

earthly life -ში არ ჩანს სამყაროს წუთიერება, სამყაროს წარმავალობა და, თუმცა კი ეს არც *sweet life*-ში ჩანს, მაგრამ ტკბილ ცხოვრებაში ფარული ნაღველი დევს, რითაც ამ ორი მომენტის დაბალანსება ხდება.

მკაფიოდ ჩანს, რომ ე. ორბელიანის თარგმნითი პროცესი ექვემდებარებოდა ლინგვისტურ აღწერას, რის საფუძველზეც მიღებულია როგორც გრამატიკული ანუ ფორმალურ-სტრუქტურული, ასევე ლექსიკურ-სემანტიკური ტრანსფორმაციები. ლექსიკურ-სემანტიკური ტრანსფორმაციის მიზეზი ცალკეული კომპონენტების დონეზე შეპირისპირებულ ენათა სემანტიკური ველების სტრუქტურათა განსხვავებაში მდგომარეობს.

აღსანიშნავია, რომ მერი ჩაილდსისა და აიდა ლომინაძის თარგმანში ეკვივალენტურობა არა მარტო ეკვივალენტური სემების აქტივიზაციით ან სტრუქტურულ-გრამატიკულ ფორმათა ეკვივალენტურობით არის მიღწეული, არამედ განსხვავებულ ენობრივ ფორმათა კომბინაციებით. ანალიზმა გვაჩვენა, რომ ენათა სისტემების განსხვავებულობა არ არის ხელისშემშლელი ფაქტორი აზრობრივი ინვარიანტის შენარჩუნებისთვის.

ორივე თარგმანის დონე ერთგვარად განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ ხშირად ქართულ სიტყვა-ცნებას არ მოეძებნება შესატყვისი ინგლისურში.

თარგმანმცოდნეობის, როგორც კომპლექსური ფილოლოგიური დისციპლინის, უპირველესი ამოცანაა არა განსხვავებათა ძიება თარგმანის შესწავლის მეთოდებსა და ორიენტაციებს შორის, არამედ, პირიქით, მათი კორელაციის და ინტეგრაციის საშუალებათა გამოიყენება. ძირითადი თეზისი, რომელსაც ემყარება წინამდებარე გამოკვლევა, იმაში მდგომარეობს, რომ თარგმანი არა მარტო ენათაშორისი კომუნიკაციის აქტია, არამედ კულტურათაშორისი კომუნიკაციის დამყარების საშუალებაც. აქედან გამომდინარე,

თარგმნის სრულყოფილი შესწავლა საჭიროებს თარგმნის ტექსტის კონსტრუირების არა მარტო ძირითადი, ენობრივი სისტემის,

არამედ გარემოებრივ სისტემათა გათვალისწინებასაც. ისეთ კომპლექსურ ენობრივ წარმონაქმნზე დაკვირვება, როგორცაა თარგმანი, ჩვენი აზრით, უნაყოფო იქნება ერთი რომელიმე დარგის ავტონომიურ საზღვრებში (საყვარელიძე, *თარგმნის თეორიის საკითხები* 10-12).

სწორედ ქართული ენის ფენომენის სირთულით არის განპირობებული ორივე თარგმანის ავ-კარგიანობა; ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ხომ ქართული სიტყვის მაგიის უმაღლესი გამოვლინებაა. მიუხედავად ამისა, *შელის ნუკრის ნაამბობის* თარგმანი, შესრულებული ელ. ორბელიანის მიერ და ერთი საუკუნის შემდგომ მერი ჩაილდის და აიდა ლომინაძის მიერ, მნიშვნელოვანი მოვლენაა ინგლისურენოვანი სამყაროს მიერ ქართული ლიტერატურის შემეცნების თვალსაზრისით.

ბიბლიოგრაფია

- გაჩეჩილაძე, გიორგი, *მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი*, თბილისი, „განათლება“, 1966.
- გაჩეჩილაძე, გიორგი, *მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები. რეალისტური თარგმანის პრობლემა*, თბილისი, „განათლება“, 1959.
- გაჩეჩილაძე, გიორგი, *ინგლისური ლიტერატურა ქართულ ენაზე თარგმნის საკითხები*, „ლიტერატურული გაზეთი“, № 1, 1956.
- ვაჟა-ფშაველა, *რჩეული*, ორ ტომეული, ტ.1. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1961.
- საყვარელიძე, ნელი, *თარგმანის თეორიის საკითხები (ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ასპექტები)*, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემლობა, 2001.
- ჩიხლაძე, ნელი, *ელ. ორბელიანი*, თბილისი, ყურნალი „საბჭოთა საქართველო“, 1964.
- ჩხარტიშვილი, ლია, *ვაჟა-ფშაველას მოთხრობების ინგლისური თარგმანები* <http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/liachkhartishvili.pdf> (ნახვა 21 იანვარი 2020).
- Childs, Mary and Lominadze, Aida, *The Story Told by a Fawn*, Tbilisi, Bakmi, Electronic Version, 2009.
- Nida, Eugene, Taber, Charles, *The Theory And Practice of Translation*, 1969.
- Orbeliani, Elisabed, *The Story Told by a Fawn*, Tbilisi, The Georgian Messenger, 1919.